ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

საფეხური: მაგისტრატურა
პროგრამა: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

პროგრამაზე მისაღები ზეპირი გამოცდის რეკომენდაციები და შეფასების სისტემა

საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა. გამოცდაზე კანდიდატმა უნდა გამოავლინოს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საბაზო ცოდნა, დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა, მოტივაცია და კომუნიკაციის უნარი, ასევე ინგლისური ენის ცოდნა B1+ დონეზე.

დარგობრივი ცოდნის გარდა კანდიდატმა უნდა წარმოაჩინოს თავისი აკადემიური მიღწევები, რომელთა დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს პროფესიული ბიოგრაფია (CV) აკადემიური ან/და პროფესიული აქტივობების შედეგების მითითებით. მოტივაციის გამოვლენის მიზნით, კანდიდატმა უნდა ისაუბროს სასწავლო პროგრამისადმი საკუთარი ინტერესის შესახებ სამომავლო პროფესიული/კარიერული ზრდის პერსპექტივიდან გამომდინარე.

კანდიდატთან გასაუბრების ფარგლებში, ასევე, შემოწმდება მისი ინგლისური ენის ცოდნა (B1+დონე) დედამიწის შემსწავლელი შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო ტექსტის ზეპირი თარგმანისა და შინაარსის გადმოცემის კუთხით. ამ კომპონენტისთვის მინიმალური გადასალახი ზღვარი შეადგენს 6 ქულას.

კანდიდატი შეფასდება 100-ქულიანი სისტემით.

<u>შიდასაუნივერისტეტო ზეპირი გამოცდის მინიმალური გადასალახი ზღვარია 51 ქულა.</u>

შეფასების კრიტერიუმები

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	**ქულა**	**მაქს. ქულა**
საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		30
დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა		20
პროფესიულ დარგში ინგლისური ენის ცოდნა		10
მოტივაცია	**ქულა**	**მაქს. ქულა**
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		8
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნებისა და სასწავლო პროგრამის მიზნების თანხვედრა		6
პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		6
მიღწევები	**ქულა**	**მაქს. ქულა**
მიღწევები (პუბლიკაციები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილება და სხვ.)		5
კომუნიკაციის უნარი	**ქულა**	**მაქს. ქულა**
ქართულ ენაზე გამართული კომუნიკაციის უნარი		10
საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარი		5